



საქართველოს მთავრობა

პირითადი მონაცემები და მიმართულებები

2010-2013 წლებისათვის

თბილისი

2009

საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგია

(2010-2013 წლები)

2010-2013 წლებში საქართველოს მთავრობის მთავარი მიზანი უცვლელია და წარმოადგენს პროგრამის – „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ განხორციელებას. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის მუშაობა ძირითადად მიმართული იყო ამ მიზნის მისაღწევად და შედეგად გაუმჯობესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რეაბილიტირებულ იქნა საგზაო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, სრულად აღმოიფრქვა საქართველოს ენერგისისტემაში არსებული პრობლემები და სხვა. ასევე გაიზარდა პენსიები და ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები.

ამ ეტაპზე საქართველოს წინაშე დგას ორი ახალი გამოწვევა, რამაც საგრძნობლად შეაფერხა პროგრამის განხორციელება:

- ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის ნაწილი და საფრთხის ქვეშ იმყოფება მოსახლეობა;
- მსოფლიოში გრძელდება უმწვავესი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი;

„მსოფლიო ფინანსური კრიზისისგან დაცვის სტრატეგიამ“ უნდა უზრუნველყოს საფინანსო-ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის მინიმალიზება და საქართველოს ეკონომიკა დააბრუნოს 50-თვიანი გეგმის შესრულების გზაზე. უმოკლეს დროში უნდა მოხდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაცია.

აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით 2010-2013 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

გამოყენებულ იქნება ყველა დიპლომატიური და პოლიტიკური ბერკეტი, საქართველოს მეგობრებისა და პარტნიორების მხარდაჭერის მეშვეობით, რათა თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკის შედეგად მიღწეულ იქნეს საქართველოს გამთლიანება. ამ მიზნით პირველ ეტაპზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა განთავსდეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ან/და საპოლიციო კონტინგენტი. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ მოსახლეობასთან, მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, აქტიური კავშირების დამყარებას, ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას.

საქართველო გააგრძელებს ინტეგრაციას საერთაშორისო თანამეგობრობაში, NATO-სა და ევროკავშირში და NATO-ს სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხოების სისტემის ფორმირებას. საქართველო გახდება ალიანსის უსაფრთხოების სისტემის ორგანული კომპონენტი და არა მხოლოდ უსაფრთხოების „მიმღები“. ევროკავშირთან ურთიერთობებში უფრო ფართოდ გავრცელდება „ოთხი თავისუფლების პრინციპი“ – უზრუნველყოფილი იქნება საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება. ადამიანების თავისუფალი გადაადგილების ხარისხი გაიზრდება საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისათვის, უპირველეს ყოვლისა სტუდენტების, მეწარმეებისა და მეცნიერებისათვის.

სახელმწიფო დააფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მოიზიდავს ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციებს, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნებას.

სოციალური პოლიტიკის მთავარი პრინციპი დაფუძნებული იქნება სოციალური დანახარჯების ეფექტიანობაზე და მიზნობრიობის ხარისხის ზრდაზე, ანუ უფრო მეტი და მნიშვნელოვნად გაზრდილი ფინანსური დახმარება გაეწევა სოციალურად ყველაზე მეტად დაუცველ მოსახლეობას.

ეტაპობრივად გაიზრდება სოციალური საპენსიო პაკეტის მოცულობა და ის 100 აშშ დოლარს მიაღწევს.

გაუმჯობესდება სადაზღვევო სისტემა, სახელმწიფოს მიერ დაზღვეული იქნება 1 200 000-ზე მეტი ადამიანი (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები, შეიარაღებული ძალების საბრძოლო შემადგენლობა, პოლიცია და სხვა). აგრეთვე, სრულად ამოქმედდება სამედიცინო სადაზღვევო სისტემის განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ამ ეტაპზე ვერ სარგებობს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პაკეტით, შესაძლებლობა მიეცემა სახელმწიფოს თანადაფინანსებით ჩაერთოს სადაზღვევო სისტემაში.

სრულად ამოქმედდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 100-ზე მეტი საავადმყოფო.

სოფლად სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ხელმისაწვდომი სამედიცინო და 1000-ზე მეტი კარგად აღჭურვილი და კვალიფიციური სოფლის ექიმის მომსახურებით.

საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის და სახელმწიფო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მიხმარდება იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნას. გაგრძელდება 90-იან წლებში იძულებით გადაადგილებული პირების ეტაპობრივი უზრუნველყოფა სათანადო საცხოვრებელი პირობებით.

ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კახეთის რეგიონში აშენდება ვაზიანი-გომბორი-თელავის გზა, დასრულდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომანქანების მშენებლობა, მცხეთა-მთიანეთში – მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის გზა, აჭარაში – მაგისტრალური ალტერნატიული გზა (ბათუმი-ჩოლოქი), რეაბილიტირებულ იქნება დედაქალაქის და ქვეყნის სამხრეთისა და დასავლეთის რეგიონების დამაკავშირებელი თბილისი-ახალციხე-ბათუმის მაგისტრალი და სხვა. აღნიშნული პროექტები ხელს შეუწყობს სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო დერეფნებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდას, სამხრეთ საქართველოს სრულფასოვან ჩართვას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, გაუმჯობესდება ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

აშენდება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა (შესაძლებელი გახდება ჩინეთი-საქართველო-ევროპის სარკინიგზო მიმოსვლა) და თბილისის შემოვლითი სარკინიგზო მაგისტრალი.

გაგრძელდება მუშაობა ენერგოსაფრთხოების დამატებითი გარანტიების შექმნაზე. გაიზრდება ენერგოსისტემის მდგრადობა და განხორციელდება სექტორის შემდგომი დერეგულირება. დასავლეთ საქართველოში აშენდება 500 კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი, კერძო ინვესტიციებით დაფინანსდება 500 მეგავატზე მეტი ჰიდროელექტროგადამცემი ხაზი. ენერგოსისტემა იმუშავებს მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში და გაიზრდება ელექტროენერჯის ექსპორტი.

სოფლის გაზიფიკაციის პროგრამის ფარგლებში გაზის სექტორში ჩატარებული პრივატიზაციითა და დერეგულირებით მოზიდულ იქნება დამატებითი ინვესტიციები, რომლებიც მოხმარდება სექტორის რეაბილიტაციას და ახალი ქსელების გაყვანას. შესაბამისად გაიზრდება გაზიფიცირებულ მომხმარებელთა რიცხვი.

სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით რეაბილიტირებულ იქნება საირიგაციო-სადრენაჟე სისტემები, გაგრძელდება ფერმერული მეურნეობებისათვის ტრაქტორების შეძენა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სასუქის დარიცხვა.

შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები, რაც ხელს შეუწყობს ღირებულების განვითარებას და დასაქმდება ათასობით ადამიანი.

მთელი ქვეყნის მასშტაბით რესტრუქტურირებულ და რეაბილიტირებულ იქნება წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემები, რაც გააუმჯობესებს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას და საყოფაცხოვრებო პირობებს.

ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონული განვითარების დისბალანსის შემცირებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ბიზნესაქტივობის გაზრდას, რაც დამატებით შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დაუბრუნდება მსოფლიო კრიზისამდე არსებულ მაჩვენებელს და ინფლაცია შენარჩუნებულ იქნება ერთნიშნა დონეზე.

გაგრძელდება ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის კურსი, რომელიც გულისხმობს ხელსაყრელ ახალ საგადასახადო რეჟიმებს (თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელიც აგრეთვე ხელს შეუწყობს დაახლოებით 20.0 ათასი ადამიანის დასაქმებას, საერთაშორისო საფინანსო კომპანია და თავისუფალი საწყობი, საშემოსავლო გადასახადის 15%-მდე შემცირება და დივიდენდებზე გადასახადის გაუქმება), ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გაფორმებას, ინვესტიციების მოზიდვას, საკუთრების უფლების დაცვას, ღია სავაჭრო და სატრანსპორტო პოლიტიკას, ექსპორტის ზრდას, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და სხვა დარგების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას და უმუშევრობის დაძლევას.

დაინერგება პრივატიზების უფრო მოქმედი და ეფექტიანი ფორმები.

ამოქმედდება ტრანს-აზია-ევროპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალი (TAE), რაც უზრუნველყოფს დიდი მოცულობის ინფორმაციული ნაკადების გატარებას ევროპასა და აზიას შორის.

გაგრძელდება ყველა საჯარო სკოლის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, რაც გულისხმობს საშუალო სკოლების კომპიუტერებით აღჭურვას და ყველა სკოლის გლობალურ ქსელში ჩართვას.

უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით უმაღლესი სასწავლებლები ჩაერთვებიან თანამედროვე საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესში, სწავლების ხარისხი მოყვანილ იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, გაიზრდება უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრაციის ხარისხი.

საჯარო საგანმანათლებლო სისტემის პარალელურად განვითარდება კერძო საგანმანათლებლო სექტორი.

გაგრძელდება მასწავლებლების შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა.

მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 50-მდე სპორტული კომპლექსი.

ვაუჩერული სისტემის მეშვეობით დაფინანსდებიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა სპორტსმენები და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვები.

სრულად განხორციელდება სასამართლო რეფორმა და გაიზრდება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხი.

დაინერგება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რითაც მიღწეული იქნება მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების მაქსიმალური მონაწილეობა და მართლმსაჯულებისადმი ნდობის ხარისხის ზრდა.

გამჭირვალე სამართალწარმოების სისტემის დანერგვის მიზნით მოხდება თანამედროვე, სამართალდარღვევების პრევენციაზე ორიენტირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმირება.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიზნით განხორციელდება სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების გამოყენების კომპლექსური ანალიზი, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმირების დასრულება უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდება იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილობრივი ორგანოები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სასამართლოში მოქალაქეთა უფლებების სათანადო დაცვა.

პენიტენციური სისტემა შესაბამისობაში იქნება მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც გულისხმობს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების რეაბილიტაციას და ახალი დაწესებულებების მშენებლობას, პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. გაგრძელდება პრობაციის სისტემის რეფორმირება, რომლის მიზანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და გამოსწორება, დანაშაულის ჩადენის ალბათობის შემცირება

სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების ხელმისაწვდომობის მიზნით, ჩატარდება სააღსრულებო სისტემის რეფორმა კერძო აღსრულების სისტემის დანერგვის მიმართულებით.

საჯარო სექტორში დაფუძნდება ღირსებაზე დამყარებული პრინციპები, რაც გულისხმობს საჯარო სექტორის მართვის პრინციპების მიახლოებას კერძო სექტორთან, საჯარო სამსახურში დაინერგება საკონტრაქტო სისტემის ელემენტები, ასევე, საჯარო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების გაზომვადი მექანიზმები და მონიტორინგის მკაფიო კრიტერიუმები. შედეგად საჯარო სამსახური გახდება მცირე, მოქნილი, გამჭვირვალე და ეფექტიანი. შეიქმნება მაღალი თანამდებობის პირებზე განსაკუთრებული ზედამხედველობის სისტემა.

ანტიკორუფციული რეფორმების ფარგლებში გაუმჯობესდება საჯარო სამსახურში ქონებრივი და ფინანსური დეკლარირების სისტემა, დაინერგება ეთიკის კოდექსის ნორმები, გამჭირვალე გახდება დაქირავებისა და დაწინაურების სისტემა, გაიზრდება საჯარო და კერძო სექტორებს შორის მობილურობა.

საქართველოს შეიარაღებული ძალები სრულად გადავლენ პროფესიულ საწყისებზე, განხორციელდება მათი მართვის ოპტიმიზაცია და ამაღლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. პოლიციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, დაინერგება პოლიციელთა მუდმივი გადამზადების მექანიზმი და შესაბამისად გაუმჯობესდება კრიზისული სიტუაციების მართვის სისტემა.

2008-2009 წლების მიმოხილვა

2008 წელი

2007 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.1 პროცენტი შეადგინა და ნომინალურ გამოხატულებაში 19.1 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2008 წლის დეკემბერში, 2007 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 5.5 პროცენტით გაიზარდა. 2008 წლის იანვარ-სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარების ტენდენციით ხასიათდებოდა, ოქტომბერ-დეკემბერში კი ლარის კურსის გაუფასურებას ჰქონდა ადგილი. 2008 წლის ბოლოს ლარის კურსმა 2007 წელთან შედარებით 4.7 პროცენტით მეტი, 1.667 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე, ხოლო საშუალო წლიურ კურსი 2007 წელთან შედარებით 10.8 პროცენტით გამყარდა და 1.49 ლარს გაუტოლდა.

წლის განმავლობაში განხორციელდა პენსიების ზრდა, გაორმაგდა ლტოლვილთა და დევნილთა შემწევობები. სახელმწიფოს მიერ დაზღვეული იყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 700.0 ათასამდე ბენეფიციარი, ასევე საჯარო სკოლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები, პატიმრები და სხვა. რეაბილიტირებულ იქნა საგზაო ინფრასტრუქტურის და საჯარო სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი. სხვადასხვა რაიონებში დაიწყო კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად ზიანი მიაღვა ქვეყნის ინფრასტრუქტურას, რომლის აღდგენის მიზნითაც მნიშვნელოვანი თანხები გამოიყო საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე. 200.0 მლნ ლარზე მეტი მოხმარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას და დაზიანებული შენობების აღდგენას. საომარი მოქმედებების დროს დაჭრილთა და დაღუპულთათვის კანონმდებლობით დადგენილი კომპენსაციების გარდა, საქართველოს მთავრობის ინიციატივით კომპენსაციები გაიცა დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახებზე, თითოეულზე 10.0 ათასი ლარის ოდენობით.

2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- *სოციალური სფერო – 1 106.4 მლნ ლარი ;*
- *განათლება – 420.5 მლნ ლარი ;*
- *ჯანმრთელობის დაცვა – 283.9 მლნ ლარი ;*
- *ენერგეტიკა – 93.0 მლნ ლარი ;*
- *ტრანსპორტი – 270.7 მლნ ლარი ;*
- *დასვენება, კულტურა სპორტი – 102.1 მლნ ლარი ;*
- *თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 2 531.9 მლნ ლარი.*

- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვაზე და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსურ უზრუნველყოფაზე მიმართული იქნა 26.6 მლნ ლარი.

- სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული იქნა 203.7 მლნ ლარი. აღნიშნული თანხიდან საგარეო ვალზე მიიმართა 118.7 მლნ ლარი, ხოლო საშიანო ვალდებულებებზე – 85.0 მლნ ლარი.

- ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის ფინანსური დახმარების სახით 2008 წელს გადარიცხულმა სახსრებმა 859.4 მლნ ლარი შეადგინა.

- სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 117 პროექტი საერთო მოცულობით 62.4 მლნ ლარი.

ბრიუსელის დონორთა კონფერენციის ფარგლებში მიღწეულია შეთანხმება და ამ ეტაპზე გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები აშშ-ის, ევროპული ქვეყნების და სხვა პარტნიორებთან 2.4 მლრდ ლარის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. აღნიშნული თანხიდან 1.3 მოხმარდება სახელმწიფო სექტორის, ხოლო 1.1 მლრდ ლარი კერძო სექტორის მხარდაჭერას. მიღებული სახსრები გარკვეულწილად ჩაანაცვლებს უცხოური ინვესტიციებს, მოხმარდება უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას და შემცირდება მაკროეკონომიკური საფრთხეები.

2009 წელი

2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა აგრძელებს წინა წელს დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებას. აღნიშნული მიმდინარეობს როგორც ქვეყნის შიდა საფინანსო რესურსების მეშვეობით, აგრეთვე პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით.

გრძელდება დაბალი გადასახადების პოლიტიკა, რომლის პირველი ნაბიჯიც იყო 2009 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 25 პროცენტიდან 20 პროცენტამდე შემცირება. ასევე, შემცირდა საშემოსავლო გადასახადი დივიდენდებზე და პროცენტებზე.

საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებს მუშაობას ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებების გაფორმებაზე სხვადასხვა სახელმწიფოებთან.

მსოფლიო ფინანსური კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი 2,2 მილიარდი ლარის ოდენობით. ეს პაკეტი პირობითად შედგება სამი ნაწილისგან: პირველი წარმოადგენს ბიუჯეტში გათვალისწინებულ 1,450 მლრდ ლარს (მასში შედის, როგორც სახელმწიფო შიდა რესურსები, ისე დონორების დახმარება), რომელიც ძირითადად დაიხარჯება საქართველოში

ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე; მეორე ნაწილია – 500 მლნ ლარი, რომელსაც დონორები დამოუკიდებლად დახარჯავენ სხვადასხვა პროექტზე; ხოლო მესამე ნაწილია – 250 მლნ ლარი, რომელიც მომხმარებელს დარჩება საგადასახადო ტვირთის შემცირების ხარჯზე.

ქვეყნის რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში 18.6 მლნ გადანაწილდება ყველა თვითმმართველობაზე.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გამოყოფილია 600.0 მლნ ლარამდე. მათ შორის მსოფლიო ბანკის დაფინანსება შეადგენს 195.0 მლნ ლარს, რომლიდანაც 128.5 მლნ ლარი მოხმარდება აღმოსავლეთ დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალს, მისი თანადაფინანსება შეადგენს 61.8 მლნ ლარს. მიმდინარე წელს დასრულდება ალაიანი-იგოეთის (12კმ) მონაკვეთი, რეაბილიტაციაჩატარდება იგოეთი-სვენეთის არსებულ გზას (ხიდების ჩათვლით 24 კმ), დასრულდება სვენეთი-რიკოთის მონაკვეთი (61 კმ) და არსებული გვირაბის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა. ვაზიანი-გომბორი-თელავი გზის რეაბილიტაციაზე მიმართულია 15.0 მლნ ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში გზების რეაბილიტაციაზე 50.2 მლნ ლარი. ასევე, კუვეიტის ფონდი დაფინანსებს თბილისის გზების რეაბილიტაციას 25.0 მლნ ლარის ფარგლებში.

დამატებით რეაბილიტირებულ იქნება მინიმუმ 200 კილომეტრი სიგრძის რეგიონალური გზები, რომლებიც ათობით სოფელს დააკავშირებს მთავარ სატრანსპორტო არტერიებთან. ეს, თავის მხრივ, გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას.

სხვადასხვა რეგიონში კომუნალური, წყალმომარაგების სისტემების და გზების რეაბილიტაციაზე აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის და ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ დაფინანსებით და სახელმწიფოს თანადაფინანსებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მიმართავს 200.0 მლნ ლარზე მეტს. აგარდა ამისა, მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დასაფინანსებლად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმართულია 66.0 მლნ ლარი, ხოლო სოფლებში მცირე პროექტების განხორციელების მიზნით 20.0 მლნ ლარი გადანაწილდა ყველა სოფელზე. საირიგაციო და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისთვის განსახდვრულია 21.5 მლნ ლარი, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების დაფინანსება კი შეადგენს 9,5 მლნ ლარს. საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დაგეგმილია 58.5 მლნ ლარი, ხოლო საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 10.0 მლნ ლარს. ასევე ქალაქებსა და რეგიონებში მოხდება სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. მთავრობა მოახდენს სათანადო ფინანსური რესურსების მობილიზებას მომდევნო წლებშიც ინფრასტრუქტურის არსებული ტემპებით რეაბილიტაციის მიზნით.

აღნიშნული პროექტების განხორციელებაში ჩაერთვება და დასაქმდება ათასობით საქართველოს მოქალაქე. ამასთანავე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და, შესაბამისად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

გასულ წელს სოფლის მოსახლეობას უფასოდ დაურიგდა დიზელის საწვავი, ხოლო მიმდინარე წელს მინერალური სასუქი, რაც გაზრდის მოსავალს და შეამცირებს მოსახლეობის დანახარჯს. აგრეთვე ფერმერთა მხარდაჭერის მიზნით გათვალისწინებულია სხვადასხვა სიმძლავრის ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანადგარების შესყიდვა.

მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად გაგრძელდება დიპლომატიური მოლაპარაკებები საომარი მოქმედებების დროს დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დაცვის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება მთელი რიგი ღონისძიებების და პროექტების განხორციელება. პირველ რიგში, ქვეყნის ხელისუფლება დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გააგრძელებს ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტების მშენებლობას, საცხოვრებელი სახლების შეკეთებას და მათში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას. აღნიშნული მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 140.0 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტების განხორციელება. მიმდინარე წელს დაიწყება 90-იან წლებში იძულებით გადაადგილებული პირების ეტაპობრივი უზრუნველყოფა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით. გარდა ამისა, სახელმწიფო დევნილ მოსახლეობას დაეხმარება საკუთრებაში გადაცემული ფართის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას, კვლავ დააფინანსებს დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების კურსს, ასევე სრულად დააფინანსებს იძულებით გადაადგილებული მასწავლებლების და სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასებს.

2009 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის გათვალისწინებული თანხები. 1 იანვრიდან ასაკის საფუძველზე დანიშნული და I ჯგუფის ინვალიდთა პენსია გაიზარდა შესაბამისად 5 და 10 ლარით და შეადგენს 75 ლარს, ხოლო 1 ნოემბრიდან დაგეგმილია მათი 80 ლარამდე ზრდა. გარდა ამისა, 1 ნოემბრიდან გათვალისწინებულია ყველა სხვა კატეგორიის ინვალიდთა პენსიის ზრდა 5 ლარით და შესაბამისად იგი განისაზღვრება 70 ლარით;

2009 წლის 1 იანვრიდან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 400 ათასი პირი ოჯახზე 30 ლარიან დახმარებასთან ერთად დამატებით თითოეულ ოჯახის წევრზე 12 ლარის ნაცვლად იღებს 24 ლარს.

2009 წლის 1 ნოემბრიდან დაგეგმილია სოციალური დახმარებების გრადაციული სისტემის შემოღება, რომელშიც დამატებით ჩაერთვება 500 ათასი ბენეფიციარი, მათ შორის, პირველი 200 ათასი ბენეფიციარი ოჯახზე 20 ლარიან დახმარებასთან ერთად მიიღებს დამატებით თითოეულ ოჯახის წევრზე 16 ლარიან დახმარებას, ხოლო მომდევნო 300 ათასი ბენეფიციარი – 10 ლარიან დახმარებას და დამატებით თითოეულ ოჯახის წევრზე 8 ლარს.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობა 700 ათასიდან გაიზარდა 900 ათასამდე და მასთან ერთად სადაზღვევო პაკეტის ღირებულება 11 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 15 ლარით.

მიმდინარე წლის თებერვლიდან მოსახლეობის ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევის განვითარების მიზნით დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი და გადაუდებელი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების გაწევას მოსახლეობის მხრიდან თანადაფინანსების პრინციპის გამოყენებით.

ზემოაღნიშნული პროგრამების გარდა, გაგრძელდება შეიარაღებული ძალების საბრძოლო შემადგენლობის, პოლიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

თანამშრომლების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის ღონისძიებების დაფინანსება

განათლების ხარისხისა და მისაწვდომობის ამაღლებაზე ზრუნვა ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება. 2009 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა საჯარო სკოლის ვაუჩერების დაფინანსება, რამაც მასწავლებელთა საბაზო ხელფასი 1 იანვრიდან 25 ლარით გაზარდა. ახალი სასწავლო წლიდან კვლავ მოიმატებს ვაუჩერის მოცულობა და მასწავლებელთა საბაზო ხელფასი კვლავ 25 ლარით გაიზრდება. გარდა ამისა, 1 სექტემბრიდან საჯარო სკოლებში დამრიგებლის ხელფასის დანამატი 50 ლარით გაიზრდება.

საქართველოს მთავრობა 2009 წელს წინა წელთან შედარებით 33.0 მლნ ლარით მეტს მიმართავს სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად. ასევე, სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება საქართველოს მოქალაქეების სწავლის საფასური უცხო ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების სამაგისტრო კურსებზე.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ:

- მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის მინიმალიზება და შემდგომში ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებლის დონეზე შენარჩუნება;
- უმუშევრობის დონის შემცირება;
- საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება;

მაკროეკონომიკური მიმოხილვა და პროგნოზი

2006-2008 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიურმა ზრდამ 7.9 პროცენტი, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 9.5 პროცენტი შეადგინა (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	პროგ.	პროგ.	პროგ.	პროგ.	პროგ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	9.4	12.3	2.1	1.0	3.0	6.0	8.0	9.0
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	13789.9	16993.8	19069.6	19838.1	21455.0	24106.8	27597.5	31886.1
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	1758.7	2314.7	2920.3	2710.8	2931.8	3294.1	3771.1	4357.2
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში)	9.2	9.2	10.0	3.0	5.0	6.0	6.0	6.0
მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან)	-15.3	-19.0	-22.3	-18.5	-20.3	-19.6	-17.8	-15.5

ა. ეკონომიკური ზრდა

მიმოხილვა

2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.1 პროცენტი შეადგინა და ნომინალურ გამოხატულებაში 19.1 მლრდ ლარს გაუტოლდა.

მშპ-ის ზრდის ტემპის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის, სახელმწიფო მმართველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგებმა. ვაჭრობისა და სახელმწიფო მმართველობის დარგებმა მთლიანი შიდა პროდუქტი 2.6 პროცენტით გაზარდეს, მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგებმა კი 1.4 პროცენტით შეამცირეს.

მრეწველობა

2008 წელს მრეწველობის დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 0.4 პროცენტით შემცირდა.

2008 წლის განმავლობაში მრეწველობის დარგის სფეროები არაერთგვაროვნად ვითარდებოდნენ:

გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოების მოცულობამ 1.0 პროცენტით მოიკლო.

ელექტროენერჯის, აირისა და წყალმომარაგების სფერო 2.7 პროცენტით შემცირდა.

სამთომომპოვებელ მრეწველობაში 17.0 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა.

მრეწველობის წილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში 2007 წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.1 პროცენტი შეადგინა.

2008 წელს მრეწველობის დარგის გავლენა მშპ-ის ზრდაზე ნულის ტოლი იყო.

სოფლის მეურნეობა

2007 წლისაგან განსხვავებით, 2008 წელს კლება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში.

დარგში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 2.1 პროცენტით შემცირდა.

სოფლის მეურნეობის ხარჯზე მშპ 0.2 პროცენტით შემცირდა.

ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა და საფინანსო საქმიანობა

2008 წელს ყველაზე მეტად გაიზარდა ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, სახელმწიფო მმართველობისა და განათლების დარგები.

ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა ვაჭრობაში 10.4 პროცენტით, კავშირგაბმულობაში 14.5 პროცენტით, სახელმწიფო მმართველობაში 10.3 პროცენტით და განათლებაში 13.7 პროცენტით.

ყველაზე მეტი შემცირება დაფიქსირდა მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგებში. მშენებლობაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 11.0 პროცენტით, ტრანსპორტში კი 10.1 პროცენტით მოიკლო.

პროგნოზი

მთლიანი შიდა პროდუქტი

2009 წელს, წინა წელთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი სავარაუდოდ 1.0 პროცენტით გაიზრდება და ნომინალურ გამოხატულებაში 19.8 მლრდ ლარს გადააჭარბებს (ნახ. 1).


საშუალოვადიან პერიოდში (2010-2013 წლები) მშპ-ის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი სავარაუდოდ 6.5 პროცენტის ფარგლებში იქნება.

ინვესტიციები და სამომხმარებლო ხარჯები


2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, კერძო ინვესტიციების მოსალოდნელი ნომინალური მოცულობა შემცირდება და მშპ-ის 25.9 პროცენტს გაუტოლდება. შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში კერძო ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია ექნება და 2013 წლისათვის სავარაუდოდ მშპ-ის 35.5 პროცენტს მიაღწევს.

2009 წელს სავარაუდოდ 1.6 პროცენტით შემცირდება რეალური სამომხმარებლო ხარჯების მოცულობა. 2010-2013 წლებში კი ზრდის ტენდენციას ექნება ადგილი.

ნახ. 1 ნომინალური მშპ-ის დინამიკა (მლნ ლარი)



ნახ. 2. მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)



ბ. საგარეო სექტორი

მიმდინარე

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

2008 წელს 2007 წელთან შედარებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაიზარდა და - 2850.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2008 წელს გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელიც და მშპ-ის 22.3 პროცენტი შეადგინა. 2007 წლისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 19.7 პროცენტს უდრიდა.

სავაჭრო ბრუნვა

2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 8689.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს 22.9 პროცენტით აღემატება.

სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტი შეადგენს 2428.0 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 16.3%-ით), ხოლო იმპორტი 6261.2 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 25.6%-ით).

2008 წელს, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 15.9 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე 10.8 პროცენტით აზერბაიჯანია, შემდეგ მოდიან უკრაინა (10.5 პროცენტი) და გერმანია (6.2 პროცენტი).

ექსპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს. ამ ქვეყნის წილად მოდის მთლიანი ექსპორტის 17.6 პროცენტი. მეორე ადგილზე 13.7 პროცენტით აზერბაიჯანია, მესამეზე უკრაინა 9.0 პროცენტით, მეოთხეზე კანადა 8.9 პროცენტით, ხოლო მეხუთეზე სომხეთი 8.3 პროცენტით.

იმპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან იმპორტში 15.5 პროცენტია. მეორე ადგილი 10.9 პროცენტით უკრაინას, მესამე კი 10.0 პროცენტით აზერბაიჯანს უჭირავს.

2008 წელს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 17.8 პროცენტით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდიან შავი ლითონების ჯართი (8.6 პროცენტი), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (7.9 პროცენტი) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე 12.6 პროცენტით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ნაწილი შემდგომში გადის ექსპორტზე (7.6 პროცენტი), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (3.4 პროცენტი) და ა.შ.

პროგნოზი

სავაჭრო ბრუნვა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

2009 წლისთვის მოსალოდნელია სავარაუდო სავაჭრო ბრუნვის შემცირება, ხოლო შემდგომ წლებში კი სავარაუდოდ ზრდას ექნება ადგილი.

პროგნოზული გათვლებით, 2009 წელს 2008 წელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მშპ-ის მიმართ შემცირდება და სავარაუდოდ 18.4 პროცენტის ფარგლებში იქნება. 2010 წლისათვის კი, აღნიშნული მაჩვენებელი -19.5 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი. შემდგომ წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს შემცირების ტენდენცია ექნება და 2013 წლისათვის იგი სავარაუდოდ მშპ-ის -14.9 პროცენტის ფარგლებში იქნება.

გ. მონეტარული სექტორი

მიმოხილვა

სამომხმარებლო ფასები

2008 წლის დეკემბერში, 2007 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 5.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 10.0 პროცენტით მოიმატა.

2008 წლის ინფლაციაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ორმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასების საერთო დონე სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 2.45 პროცენტით, ჯანდაცვამ კი 1.71 პროცენტით გაზარდა.

ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ

2008 წლის იანვარ-სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ ამაღლების ტენდენციით ხასიათდებოდა, ოქტომბერ-დეკემბერში კი ლარის კურსის გაუფასურებას ჰქონდა ადგილი.

2008 წლის ბოლოს ლარის საშუალო თვიურმა კურსმა 1.655 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე, რაც 3.4 პროცენტით მეტია 2007 წლის დეკემბრის შესაბამის მაჩვენებელზე.

ლარის საშუალო წლიური კურსი კი 10.8 პროცენტით გამყარდა და 1.49 ლარი/აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.

ფულის მასა

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2008 წლის ბოლოს, 2007 წლის ბოლოსთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა 7.8 პროცენტით შემცირდა და 1642.1 მლნ ლარს გაუტოლდა.

2008 წლის დეკემბრის ბოლოსათვის M3 ფართო ფულის აგრეგატის მოცულობამ 4305.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6.9 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში M2 ფულის მასა 13.3 პროცენტით შემცირდა და 1862.5 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

გასული წლის განმავლობაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 30.1 პროცენტით გაიზარდა, დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში კი 21.8 პროცენტით შემცირდა.

იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. წინა წელთან შედარებით M3-ის მულტიპლიკატორმა 0.36 პუნქტით მოიმატა და 2.62 გაუტოლდა, ხოლო M2-ის მულტიპლიკატორი 0.07 პუნქტით შემცირდა და 1.13 შეადგინა.

2007 წელს დოლარიზაციის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით 10.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 75.8 პროცენტს გაუტოლდა.

ფულის მიმოქცევის სიჩქარე M3 ფულის აგრეგატის მიხედვით 0.08 ერთეულით გაიზარდა და 4.3 შეადგინა. M2-თვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 9.95 გაუტოლდა, რაც 2.04 ერთეულით მეტია 2007 წლის შესაბამის მნიშვნელობაზე.

საპროცენტო განაკვეთები

2008 წელს 2007 წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 1.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 23.0 პროცენტს გაუტოლდა. უცხოურ ვალუტაში კი სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 3.6 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 21.0 პროცენტი შეადგინა.

საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 1.0 პროცენტული პუნქტით, უცხოურ ვალუტაში კი 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 11.2 პროცენტი და 8.8 პროცენტი შეადგინა.

პროგნოზი

პროგნოზული შეფასებებით 2009 წლისათვის სამომხმარებლო ფასები სავარაუდოდ 3.0 პროცენტით გაიზრდება. 2010-2013 წლებისათვის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ცვლილება კი 5-6 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი.

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია ფულის მიმოქცევის სიჩქარის შემცირება როგორც M3-თვის, ისე M2-თვის. ფულის მულტიპლიკატორებისათვის კი ზრდის ტენდენციაა მოსალოდნელი.

დ. დასაქმება და უმუშევრობა

მიმოხილვა

სტატისტიკური მონაცემებით 2007 წელს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ 1704.3 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა 36.7 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო 63.3 პროცენტი კი თვითდასაქმებული.

2007 წელს 2006 წელთან შედარებით უმუშევართა რაოდენობა 4.9 პროცენტით შემცირდა და უმუშევრობის დონემ 13.3 პროცენტი შეადგინა.

პროგნოზი

2009 წლისათვის მოსალოდნელია უმუშევრობის დონის ზრდა.

2010-2013 წლებში უმუშევრობის დონე შემცირდება, რაც უმუშევრობის დასაძლევად მთავრობის მიზანმიმართული პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის ხარჯზე განხორციელდება.

ფისკალური პოლიტიკა

2008 წელს 2007 წელთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების წილმა მშპ-ის მიმართ 1.4 პროცენტით მოიმატა, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციების რეალური მოცულობა 0.2%-ით შემცირდა.

2008 წელს, წინა წელთან შედარებით, 5.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა მთავრობის ვალის წილი მშპ-თან მიმართებაში და 31.2 პროცენტს გაუტოლდა. თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც დაბალია და საქართველოს აქცევს დაბალი დავალიანების მქონე ქვეყნების რიგში.

გრძელვადიანი პერიოდისთვის *მთავრობის სტრატეგია* ფისკალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს:

- ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაბრუნებას მსოფლიო კრიზისამდე პერიოდის ტრაექტორიაზე;
- მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;
- ხარჯების ზრდას პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- საფინანსო წესრიგის გაძლიერებას;

2010-2013 წლებისთვის *ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს* წარმოადგენს:

- ხარჯების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორცაა სოციალური სფერო, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და განათლება;
- ბიუჯეტის ხარჯების წილის შემცირება მშპ-თან მიმართებაში;

აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდება:

- საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაცია:
 - 2012 წლამდე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება 20-დან 15 პროცენტამდე;
 - დივიდენდებსა და პროცენტებზე საშემოსავლო გადასახადის განულება;
- სახელმწიფო ხარჯების მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფა;

ცხრილი 2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები 2006-2013 წლებში

(პროცენტულად მშპ-თან)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
შემოსავლები	26.8	29.3	30.7	29.3	26.5	25.2	23.5	22.8
გადასახადები	19.2	21.6	24.9	25.0	23.1	22.5	21.3	21.1
სოციალური შენატანები	3.6	4.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები	1.2	0.6	3.2	2.2	1.9	1.5	1.1	0.8
სხვა შემოსავლები	2.7	2.8	2.5	2.0	1.5	1.2	1.1	0.9
ხარჯები	22.2	25.0	28.3	26.9	24.0	22.3	20.5	18.6
შრომის ანაზღაურება	4.1	4.0	5.3	5.9	5.4	5.1	4.7	4.3
საქონელი და მომსახურება	5.6	9.3	8.4	5.0	4.7	4.4	4.1	3.7
პროცენტი	0.8	0.6	0.6	0.9	0.8	0.8	0.7	0.5
სუბსიდიები	2.4	2.3	2.7	3.0	2.4	1.9	1.7	1.5
გრანტები	0.0	0.1	0.1	0.1	0.0	0.1	0.1	0.1
სოციალური უზრუნველყოფა	5.5	5.0	7.2	7.4	7.3	6.9	6.4	5.9
სხვა ხარჯები	3.8	3.7	3.9	4.6	3.3	3.1	2.9	2.6
საოპერაციო საღლო	4.5	4.2	2.4	2.4	2.5	2.9	2.9	4.2
არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	1.2	3.4	4.3	5.9	3.5	3.6	3.4	3.1
მთლიანი საღლო	3.4	0.8	-1.9	-3.5	-0.9	-0.7	-0.5	1.1
ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	1.2	0.3	0.8	-0.3	0.2	0.1	0.1	0.1
კალდებულებებს წმინდა ზრდა	-0.9	0.0	5.0	0.4	1.1	0.8	0.6	-1.0
დეპოზიტებზე ნაშთის ცვლილება (+ ზრდა)	1.3	0.5	2.3	-2.8	0.0	0.0	0.0	0.0

2008 წლის საბიუჯეტო შემოსულობების ანალიზი

საქართველოს *ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების* სახით 2008 წელს მობილიზებულია 5 854.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელზე 1.2 პროცენტით მეტია, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 13.7 პროცენტით გადააჭარბა (ცხრილი 1). სულ შემოსულობების საერთო მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 30.7 პროცენტი შეადგინა.

ცხრილი 1. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები
მლნ ლარი

დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი						
	2008					%	
	გვგა	ფაქტი	+/-	%	მშპ-ს %	2008/2007	საგადასახლო შემოსავლებში გადასახადების წილი
შემოსავლები	5 784,1	5 854,2	70,1	101,2	30,7	113,7	
ბაზისადაწილი	4 726,1	4 752,7	26,6	100,6	24,9	129,5	
საშემოსავლო გადასახადი	1 284,2	1 296,3	12,1	100,9	6,8	246,1	27,3
მოგების გადასახადი	583,6	592,1	8,5	101,5	3,1	106,7	12,5
დამატებული ღირებულების გადასახადი	2 068,2	2 069,0	0,8	100,0	10,8	104,8	43,5
აქციზი	519,1	518,5	-0,6	99,9	2,7	121,0	10,9
საბაჟო გადასახადი	51,2	51,9	0,7	101,3	0,3	99,8	1,1
ქონების გადასახადი	129,0	131,9	2,9	102,2	0,7	122,2	2,8
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	90,8	93,0	2,2	102,4	0,5	366,8	2,0
ბრანტიზი	592,9	617,3	24,3	104,1	3,2	527,9	10,5
სხვა შემოსავლები	465,0	484,2	19,2	104,1	2,5	104,2	8,3

შენიშვნა: ცხრილი გაკეთებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2008 წელს მობილიზებულ იქნა 697.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 104.2 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 21.5-ით ნაკლებია. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 3.7 პროცენტს გაუტოლდა. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობების 10.6 პროცენტს შეადგენს (ცხრილი 5,6).

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2008 წელს მობილიზებულ იქნა 26.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25.9 მლნ ლარი) 101.3 პროცენტია. ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 0.1 პროცენტს მიაღწევს. ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობების 0.4 პროცენტს შეადგენს.

2009 წლის საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზული გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებული იქნა ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები, აგრეთვე ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი შესაძლო შედეგები.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა 2009 წელს განისაზღვრა 5 808.97 მლნ ლარის ფარგლებში, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 29.3 პროცენტს გაუტოლდა.

ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების მოცულობა განისაზღვრა 4 961.5 მლნ ლარის ფარგლებში, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 25.0 პროცენტს გაუტოლდა, მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადის მოცულობა განისაზღვრა 1 191.0 მლნ ლარი, ხოლო მშპ-ს მიმართ – 6.0 პროცენტის ფარგლებში;

მოგების გადასახადის მოცულობა განისაზღვრა 581.0 მლნ ლარი, ხოლო მშპ-ს მიმართ – 2.9 პროცენტის ფარგლებში;

დამატებული ღირებულების გადასახადის მოცულობა განისაზღვრა 2 444.0 მლნ ლარი, ხოლო მშპ-ს მიმართ – 12.3 პროცენტის ფარგლებში;

აქციზის მოცულობა განისაზღვრა 527.0 მლნ ლარი, ხოლო მშპ-ს მიმართ – 2.7 პროცენტის ფარგლებში;

საბაჟო გადასახადის მოცულობა განისაზღვრა 43.0 მლნ ლარი, ხოლო მშპ-ს მიმართ – 0.2 პროცენტის ფარგლებში;

ქონების გადასახადის მოცულობა განისაზღვრა 133.0 მლნ ლარი, ხოლო მშპ-ს მიმართ – 0.7 პროცენტის ფარგლებში;

სხვა შემოსავლების მოცულობა განისაზღვრა 402.5 მლნ ლარი, ხოლო მშპ-ს მიმართ – 2.0 პროცენტის ფარგლებში;

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 0.6 პროცენტს გაუტოლდა.

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 1.1 პროცენტია.

2010-2013 წლების შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებულ იქნა ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული შესაძლო შედეგები. პროგნოზული გათვლებით, 2010-2013 წლებში,

ზრდის ტენდენცია ექნება ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას (იხ. დანართი №3).

საპროგნოზო პერიოდში ყოველწლიურად შემოსავლების მოცულობა საშუალოდ 23.9 პროცენტით გაიზრდება.

პროგნოზული გათვლებით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტენდენციას ექნება ადგილი 2010-2013 წლებშიც. 2010 წლისთვის *ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების* მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 25.8 პროცენტს მიაღწევს, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 23.1 პროცენტს გაუტოლდება.

2011 წლისთვის გადასახადების მოცულობის წილი მშპ-თან მიმართებაში სავარაუდოდ შემცირდება 22.5 პროცენტამდე.

მშპ-სთან გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლების შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გადასახადების პროგნოზირებისას გათვალისწინებულ იქნა საგადასახადო კოდექსში გასატარებელი ცვლილებები, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შემცირება (2011 წელი - საშემოსავლო გადასახადი – 18%, პროცენტების და დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლის დასაბეგრი განაკვეთი – 3%)

2010 წელს ნაერთი ბიუჯეტის *სხვა შემოსავლების* წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 1.5 პროცენტს გაუტოლდება.

2010 წელს ნაერთი ბიუჯეტის *არაფინანსური აქტივების* რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 0.5 პროცენტს გაუტოლდება.

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 0.1 პროცენტია.

საშუალოვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია ცვლილებები გადასახადების სტრუქტურაში. თუ გასულ წლებში არაპირდაპირი გადასახადების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა პირდაპირი გადასახადების მოცულობას, 2010-2013 წლებში პირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპები დაუახლოვდება არაპირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპებს და შემცირდება განსხვავება მათ მოცულობებს შორის. 2011 წლისათვის არაპირდაპირი გადასახადები სავარაუდოდ მშპ-ის 13.6 პროცენტის, ხოლო პირდაპირი გადასახადები კი მშპ-ის 8.9 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი.

ბიუჯეტების მაჩვენებლები 2008 – 2013 წლებში

მლნ ლარი

შ რ ა მ ს ე მ ე ბ ა	2008 წელი(ფაქტი)			2009 წელი(გეგმა)			2010 წელი(პროგნოზი)			2011 წელი(პროგნოზი)			2012 წელი(პროგნოზი)			2013 წელი(პროგნოზი)		
	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი
შემოსავლები	5,854.2	5,517.7	1,183.0	5,809.0	5,510.2	971.4	5,692.0	5,382.4	949.6	6,070.0	5,741.0	979.0	6,478.0	6,148.0	1,000.0	7,263.0	6,916.0	1,047.0
გადასახადები	4,752.7	4,541.6	211.1	4,961.5	4,760.0	201.5	4,962.0	4,749.0	213.0	5,420.0	5,196.0	224.0	5,888.0	5,658.0	230.0	6,733.0	6,486.0	247.0
გრანტები	617.3	617.2	846.6	445.0	445.0	672.6	400.0	400.0	640.0	350.0	350.0	650.0	300.0	300.0	670.0	250.0	250.0	700.0
სხვა შემოსავლები	484.2	359.0	125.3	402.5	305.2	97.3	330.0	233.4	96.6	300.0	195.0	105.0	290.0	190.0	100.0	280.0	180.0	100.0
სარგებები	5,404.5	5,554.7	696.3	5,335.3	5,252.0	756.0	5,148.6	5,184.9	603.7	5,382.6	5,403.0	629.6	5,666.7	5,683.8	652.9	5,938.3	5,956.5	681.8
შრომის ანაზღაურება	1,008.1	913.1	95.0	1,160.7	1,055.7	105.0	1,167.6	1,062.3	105.2	1,237.7	1,126.1	111.6	1,304.4	1,190.4	114.0	1,382.6	1,261.8	120.8
საქონელი და მომსახურება	1,606.6	1,508.8	97.8	982.4	817.3	165.1	999.9	826.6	173.4	1,059.9	876.2	183.8	1,123.5	928.8	194.8	1,191.0	984.5	206.5
პროცენტი	120.5	119.3	1.2	187.1	182.8	4.3	175.5	174.5	1.0	188.8	188.0	0.9	195.8	195.0	0.9	166.3	165.5	0.9
სუბსიდიები	512.0	362.5	149.5	598.7	430.6	168.1	520.6	350.6	170.0	470.0	300.0	170.0	470.0	300.0	170.0	470.0	300.0	170.0
გრანტები	12.3	858.9	0.0	13.5	686.1	0.0	9.4	649.4	0.0	14.0	664.0	0.0	16.0	686.0	0.0	18.0	718.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,378.6	1,286.1	92.5	1,473.8	1,374.8	99.0	1,571.9	1,467.9	104.0	1,666.2	1,556.0	110.2	1,766.2	1,649.3	116.8	1,872.1	1,748.3	123.8
სხვა ხარჯები	766.4	506.1	260.4	919.0	704.5	214.5	703.8	653.6	50.2	746.0	692.8	53.2	790.8	734.4	56.4	838.2	778.5	59.8
საქმიანობის საღირსი	449.7	-37.0	486.7	473.7	258.2	215.5	543.4	197.5	345.9	687.4	338.0	349.4	811.3	464.2	347.1	1,324.7	959.5	365.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	826.5	324.6	501.9	1,172.1	918.4	253.8	743.0	397.5	345.5	858.1	512.9	345.2	943.6	600.8	342.8	975.9	613.8	362.1
ზრდა	1,524.3	893.4	630.9	1,347.4	996.7	350.7	923.0	497.5	425.5	928.1	562.9	365.2	1,001.6	640.8	360.8	1,015.9	643.8	372.1
კლება	697.8	568.8	129.0	175.2	78.3	96.9	180.0	100.0	80.0	70.0	50.0	20.0	58.0	40.0	18.0	40.0	30.0	10.0
გადასახადების ცვლილება	-376.8	-361.6	-15.2	-698.5	-660.2	-38.3	-199.6	-200.0	0.4	-170.7	-174.9	4.2	-132.3	-136.6	4.3	348.8	345.7	3.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	574.5	600.6	-13.2	-613.3	-568.4	-44.9	37.2	40.4	-3.2	26.2	25.7	0.5	20.5	20.0	0.5	15.5	15.0	0.5
ზრდა	603.1	616.0	0.0	163.5	163.0	0.5	60.9	60.4	0.5	46.2	45.7	0.5	40.5	40.0	0.5	35.5	35.0	0.5
ვალუტა და დეპოზიტები	416.3	416.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	129.7	142.6	0.0	163.5	163.0	0.5	60.9	60.4	0.5	46.2	45.7	0.5	40.5	40.0	0.5	35.5	35.0	0.5
აქტივი და სხვა კაპიტალი	57.1	57.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	28.6	15.4	13.2	776.8	731.3	45.4	23.7	20.0	3.7	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	2.3	0.0	2.3	552.6	522.2	30.4	3.7	0.0	3.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	18.3	15.2	3.1	38.5	25.5	13.0	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0
აქტივი და სხვა კაპიტალი	7.9	0.2	7.7	185.7	183.7	2.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახადების ცვლილება	951.3	962.2	2.0	85.2	91.8	-6.6	236.8	240.3	-3.5	196.9	200.6	-3.7	152.8	156.6	-3.8	-333.3	-330.7	-2.6
ზრდა	1,073.2	1,073.2	12.9	566.6	536.6	30.0	400.0	400.0	0.0	350.0	350.0	0.0	300.0	300.0	0.0	665.0	665.0	0.0
საგარეო	1,073.2	1,073.2	0.0	566.6	536.6	30.0	400.0	400.0	0.0	350.0	350.0	0.0	300.0	300.0	0.0	665.0	665.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	12.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	121.9	111.0	10.9	481.4	444.8	36.6	163.2	159.7	3.5	153.1	149.4	3.7	147.2	143.4	3.8	998.3	995.7	2.6
საგარეო	66.4	58.6	7.7	194.9	186.3	8.6	102.1	99.5	2.5	111.9	109.4	2.5	110.9	108.4	2.5	958.3	955.7	2.6
საშინაო	55.5	52.4	3.1	286.5	258.4	28.1	61.1	60.1	1.0	41.2	40.0	1.2	36.3	35.0	1.3	40.0	40.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2010-2013 წლებში დასახული პრიორიტეტები და მათ დასაფინანსებლად მიმართული სავარაუდო სახსრები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ათას ლარებში

პრიორიტეტები და მათში შემავალი პროგრამები/ლონისძიებები	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდოდ მიმართული სახსრები			
		2010 წ	2011 წ	2012 წ	2013 წ
I. საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა		14,577.4	15,172.1	15,593.9	16,030.5
1. MTEF-ის პრინციპების სრულად დანერგვა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაიწყება ბიუჯეტის პროექტების მომზადება მომდევნო სამი წლისათვის. წინასწარ იქნება ცნობილი მომდევნო წლებში არსებული თავისუფალი რესურსი ან დამატებით მოსაძიებელი თანხების ოდენობა, რაც გაამარტივებს გადაწყვეტილების მიღებას სახელმწიფოს მხრიდან ახალი ვალდებულებების აღების დროს				
2. პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა	ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები გაწერილი იქნება კონკრეტული პროგრამების და მათი განხორციელებით მისაღები შედეგების მიხედვით, აღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტი იქნება კიდევ უფრო გამჭვირვალე და გაიზრდება ხარჯვითი ნაწილის ეფექტიანობა				
3. კაპიტალური ბიუჯეტის დანერგვა	ბიუჯეტში ცალკე თავად იქნება განსაზღვრული კაპიტალური პროექტები, მათი დაფინანსება და განხორციელებით მოსალოდნელი შედეგი. ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია შესაბამის პერიოდში არაფინანსური აქტივების შექმნის მნიშვნელობაზე და მათ შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ.				
4. ერთიანი საოპერაციო და საბიუჯეტო ქსელის (პროგრამის) შექმნა	ჩამოყალიბდება ერთიანი მონაცემთა ბაზა, სადაც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ბიუჯეტების (სახელმწიფო და ადგილობრივი) შესრულების შესახებ, რომელთა ანალიზის შედეგად გაუმჯობესდება მომდევნო წლებისათვის ბიუჯეტის დაგეგმვა და საბიუჯეტო სახსრები უფრო ეფექტურად განაწილდება				
5. ადგილობრივი თვითმმართველი	მთავრობის ანგარიშებში სრულად იქნება ასახული				

ერთეულების ბიუჯეტების ერთიან ფორმატში მოქცევა	საჯარო სექტორი; გაიზრდება მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების შესაძლებლობები.					
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეფორმა საბიუჯეტო საკითხებში	საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკა სრულად დაინერგება საქართველოში, სანდო და შესადარისი სააღრიცხვო ინფორმაციის მისაწვდომობის შედეგად.					
7. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFSM) 2001 წლის მეთოდოლოგიის სრულად დანერგვა;						
8. საჯარო სექტორში საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების (IPSAS) დანერგვა.						
II. სახაზინო მომსახურების გაუმჯობესება		3,660.4	9,939.8	9,897.8	3,629.2	
1. ელექტრონული ხაზინის დანერგვა;	დაგეგმილი რეფორმების განხორციელების შედეგად გაიზრდება სახელმწიფო სახსრების მართვის ეფექტურობა სახელმწიფო ფინანსების ცენტრალიზაციისა და სახაზინო ოპერაციებისათვის საჭირო დროისა და მატერიალური დანახარჯების შემცირების გზით. გაუმჯობესდება ფულადი სახსრების დაგეგმვის ხარისხი და შესაბამისად ხაზინის განკარგულებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების ეფექტური მართვის შესაძლებლობა, უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული ტრანზაქციების გამჭვირვალობა.					
2. ერთიანი სავალუტო ანგარიშის შემოღება;						
3. დეპოზიტების მართვის სისტემის განახლება;						
4. რისკების მართვის ინსტრუქციების შემუშავება;						
5. ფულადი სახსრების დაგეგმვის სისტემის სრულყოფა;						
6. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული სისტემის PFMS-ის დანერგვა						
III. საფინანსო პოლიტიკა, მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება		11,578.3	12,157.2	13,008.2	13,788.7	
1. არსებული მაკროეკონომიკური მოდელის შეფასება და ოპტიმიზაცია, ფისკალური მოდელის შექმნა	გაუმჯობესდება მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება					
2. საბაჟო და საგადასახადო საკითხებში ურთიერთდახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მოდელის შექმნა, პრიორიტეტული ქვეყნების განსაზღვრა და შეთანხმებების გაფორმება.	შეთანხმების გაფორმების შედეგად შეიქმნება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი ბაზა ქვეყნებს შორის საბაჟო-საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ამავე დროს შესაძლებელი გახდება ე.წ. “სარკისებური” ანალიზის ჩასატარებლად საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება. შეთანხმების გაფორმება ხელს შეუწყობს მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობების შემდგომ					

	გაფართოვებას.				
3. შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ პრიორიტეტულ ქვეყნებთან შეთანხმებების გაფორმება.	ორმაგი დაბეგვრის შეთანხმებები დაარეგულირებენ იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მეორე ქვეყანაში გაწეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გადასახადებით დაბეგვრის პირობებს. გამარტივდება ქვეყნების საგადასახადო ორგანოებს შორის ურთიერთობა. შემცირდება გადასახადებისაგან თავის არიდების შესაძლებლობები.				
III. შემოსავლების მობილიზება		67,145.4	69,804.6	74,691.0	79,172.4
1. საგადასახადო და საბაჟო რისკების მართვის სისტემის განვითარება	შესამოწმებელ გადამხდელთა სიის შერჩევის ავტომატიზაცია, რაც გამორიცხავს სიის შერჩევის დროს სუბიექტურ ფაქტორებს. სრულად ამოქმედდება „ოქროს სია“, „მწვანე“ და „ლურჯი“ კორიდორები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საბაჟო გაფორმების დროს და ხელს შეუწყობს იმპორტიორებს განავითარონ მათი ბიზნესი				
2. ადმინისტრირების ღონისძიებების გაუმჯობესება	საბანკო დაწესებულებებთან და საჯარო რეესტრთან თანამშრომლობა საინკასო დავალების, ყადაღის დადების და მათი მოხსნის, საგადასახადო გირავნობის/იპოტეკის წარმოშობის და შეწყვეტის საკითხებში, განხორციელდება ელექტრონულად, რაც გაამარტივებს აღნიშნულ პროცედურებს როგორც საგადასახადო ორგანოებისათვის, ასევე გადამხდელისათვისაც				
